სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

ახალი რედაქციით 27.12.2023 ბრძ. N 126

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი

(კონსოლიდირებული)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მიზანია უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების გათვალისწინებით.

1.2. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

1.3. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების, ჩატარებისა და თანამდებობაზე არჩევის პროცედურებს.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

2.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისგან. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

2.1.1. პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო–კვლევით მუშაობას.

2.1.2. ასოცირებული პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

2.1.3. ასისტენტ-პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში.

2.1.4. ასისტენტი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფსორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

3.1. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ასარჩევად კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით.

3.2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3.3. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის საშუალებით.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

4.1. კონკურსის ჩატარების მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია/კომისიები და საკონკურსო სააპელაციო კომისია/კომისიები.

4.2. საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 3 წევრით, რომლის შემადგენლობაში არიან კომისიის წევრი - თავმჯდომარე, კომისიის წევრი - მდივანი და კომისიის წევრები.

4.3. საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრები სარგებლობენ თანაბარი ხმის უფლებით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

4.4. საკონკურსო/სააპელაციო კომისიის მუშაობა აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4.5. საკონკურსო/სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

4.6. საკონკურსო/სააპელაციო კომისიის სხდომა დახურულია, წევრი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონკურსის მსვლელობის პროცესში მიღებული ინფორმაცია.

4.7. დაუშვებელია საკონკურსო/სააპელაციო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსანტის მიერ ან/და მისი სახელით, რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო/სააპელაციო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4.8. საკონკურსო/სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

4.9. საკონკურსო კომისია შემაჯამებელი ოქმით ამტკიცებს მიღებულ გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის/არჩევაზე უარის თქმის შესახებ.

4.10. სააპელაციო კომისია საკონკურსო კომისიის მიერ პროცედურული საკითხების შემოწმების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს სააპელაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმით.

4.11. სააპელაციო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება იწვევს კონკრეტულ ვაკანსიაზე კონკურსის ხელახლა ჩატარებას.

4.12. საკონკურსო/სააპელაციო კომისიის შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.

4.13. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ძალაში შედის რექტორის მიერ ბრძანების ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს:

5.1. პროფესორის თანამდებობაზე

ა) შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) პირი პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს 6 წლის ვადით.

გ) დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე:

გ.ა) ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

5.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე

ა) შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ბ) პირი ასოცირებული პროფესორის თანადებობაზე შეიძლება აირჩეს შესაბამისი ფაკულტეტის პირველი საგანმანათლებლო საფეხურის ვადით;

გ) დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე:

გ.ა) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

5.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე

ა) შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

ბ) პირი ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით;

გ) დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე:

გ.ა) ბოლო 3 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

5.4. ასისტენტის თანამდებობაზე

აირჩევა დოქტორანტი.

ა) პირი ასისტენტის თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით.

ბ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ბ.ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით;

ბ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

5.5. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

5.5.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება;

დ) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

ე) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ე.ა) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

ე.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

ვ) პირი პროფესიული ნიშნით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს შესაბამისი ფაკულტეტის პირველი საგანმანათლებლო საფეხურის ვადით;

5.5.2. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

დ.ა) ბოლო 3 წელი კლინიკური გამოცდილება;

დ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

ე) პირი პროფესიული ნიშნით ასისტენტ- პროფესორის თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით.

5.6. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, უნივერსიტეტის კანცელარიაში წარმოადგინოს:

ა) განცხადება (დანართი N1 - ის შესაბამისად);

ბ) ანკეტა (დანართი N2 - ის შესაბამისად);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაცია.

5.7. კონკურსანტმა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კლინიკურ დისციპლინებში, გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს:

ა) ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობის (გატარებული სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტების, კონსულტაციების, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადოდ დადასტურებული კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის და კონკურსანტის მიერ.

ბ) შესაბამისი კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის სათანადოდ დადასტურებული წერილობითი თანხმობა მისდამი დაქვემდებარებულ ბაზაზე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის წარმართვის შესახებ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით.

5.8. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

5.9. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5.10. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, საბუთები მიღებას არ ექვემდებარება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპი

8.1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა კანცელარიის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე;

8.2 საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

8.3 საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N3-ის შესაბამისად).

8.4 საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ იღებს წერილობით გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე კონკურსანტის ზეპირ გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ.

8.5 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ ლექციის ჩატარების შესახებ.

8.6 საკონკურსო კომისია ამტკიცებს გასაუბრების/ლექციის განრიგს, რომელიც ითვალისწინებს გასაუბრების/ ლექციის თარიღ/ებ/ს.

8.7 საკონკურსო კომისია ვალდებულია კონკურსანტს შეატყობინოს გასაუბრების/ლექციის თარიღი, გასაუბრების/ლექციის ჩატარებამდე 2 დღით ადრე.

მუხლი 7. გასაუბრება/ ლექცია, შეფასების მეორე ეტაპი

7.1. გასაუბრება/ლექცია ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ დროს და ადგილზე.

7.2. გასაუბრების/ლექციის მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

7.3. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე/ ლექციაზე მისთვის განსაზღვრულ დროს.

მუხლი 8. მოწვეული პერსონალის შერჩევის წინაპირობები

8.1. მოწვეული ლექტორი არის შესაბამისი განათლების/კვალიფიკაციის ან კომპეტენციის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ფლობს სასწავლო კურსის გაძღოლისთვის შესაბამის ცოდნას და უნარებს. მოწვეული ლექტორი

უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო/პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

8.2. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური დისციპლინებისფარგლებში მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბოლო 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება. ხოლო, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ფარგლებში მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი ორ წელიწადში (აღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენა ევალებათ 2023 წლის 16 ნოემბრიდან, სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.) ერთხელ უნდა გადიოდეს ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პერსონალი რეგულარულად (5 წელიწადში ერთხელ აღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენა ევალებათ 2023 წლის 16 ნოემბრიდან, სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.) უნდა გადიოდნენ სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგებს, დადასტურებულს შესაბამისი სერტიფიკატით.

მუხლი 9. მოწვეული პერსონალის შერჩევა

9.1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ; მოწვეული ლექტორის შერჩევა ხორციელდება ორი გზით: ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დეკანთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი კანდიდატურის მოძიებას, რომელიც აკმაყოფილებს მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან ბ) ცხადდება კონკურსი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილის წესის შესაბამისად ვერ მოხდა კანდიდატის შერჩევა ცხადდება კონკურსი.

9.2. კანდიდატი, რომელსაც აქვს 2 ან მეტწლიანი პედაგოგიური გამოცდილება გადის გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, დეკანთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელთან და ფასდება ამ წესის დანართი №2-ით დადგენილი ფორმის შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია გასაუბრების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, საჩვენებელი ლექციის ჩატარების შესახებ. კანდიდატი, რომელსაც არ აქვს, ან აქვს 2 წელზე ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება ატარებს საჩვენებელ ლექციას კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი ფორმის შესაბამისად.

9.3. კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ეტაპები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. კანდიდატის შეფასება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

9.4. საჩვენებელი ლექციის შეფასება კომისიის თითოეული წევრის მიერ ხორციელდება ცალ-ცალკე, კონკურსანტის საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვის ვალდებულებაც ეკისრებათ კონკურსანტებს არის მაქსიმალურ ქულათა 70%. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი,

რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი კონკურსანტი დააგროვებს თანაბარ ქულას, ტარდება დამატებითი გასაუბრება.

9.5. მოწვეული პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეზიუმეს ფორმატში.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი); პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

დ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კლინიკურ გამოცდილებას (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში;

9.6. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შერჩეულ მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომის ხელშეკრულება არაუმეტეს 2 წლის ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა გაფორმდეს შეთანხმების აქტი შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესახებ.

9.7. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელთანაც შეწყდა შრომითი ურთიერთობა, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა დაინიშნოს მოწვეული ლექტორის პოზიციაზე ამ წესით განსაზღვრული შერჩევის პროცედურების გავლის გარეშე.

9.8. მოწვეული ლექტორის პოზიციაზე უცხო ენის სპეციალისტის შერჩევის დროს კანდიდატთან გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია წარიმართება ორ ენაზე (ქართულად და იმ უცხო ენაზე, რომლის ფარგლებშიც ხდება ლექტორის შერჩევა). კანდიდატთან გასაუბრების დროს კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი უცხო ენის სპეციალისტი. ხოლო, კანდიდატის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარების დროს, კომისიის შემადგენლობა, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოა შედიოდეს შესაბამისი უცხო ენის სპეციალისტი.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესი ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე, რაც დასტურდება რექტორის ბრძანებით.